



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№

5001186214

201 წ.

17/03/2014



5001186214

ააიპ "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი"-ს წარმომადგენელს ქალბატონ
ქეთევან კაკაბაძე-ავალიშვილს

(თბილისი, დელისის I შეს., №5ა)

ქალბატონო ქეთევან,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2014 წლის 5
თებერვლის განცხადების საფუძველზე (ბიუროს რეგისტრაციის N1000738414), გიგზავნით ქიმიური
ექსპერტიზის N001292514 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 02 ფურცლად;

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი

ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE



001292514

ექსპერტის დასკვნა № 001292514

გაფრთხილება

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმეძარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ქიმიური

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: ააიპ "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი"

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: თბილისი , დელისის I შეს., №5ა

სახელი და გვარი: ქეთევან კაკაბაძე-ავალიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

მარინა იაკობაშვილი / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 19 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაადგინოთ წარმოდგენილ კარაქის ნიმუშებში (ექვსი ნიმუში) რძის ცხიმის შემცველობა.

შემოსვლის თარიღი: 05/02/2014წ

გასვლის თარიღი: 17/03/2014წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ნიმუშებში რძის ცხიმის შემცველობა იხილეთ დასკვნის კვლევითი ნაწილის ცხრილში.

მარინა იაკობაშვილი

გამოკვლევა

კვლევის ობიექტები ბიუროში წარმოდგენილია პოლიმერული მასალისაგან დამზადებული ერთი პარკით, დაულუქავ მდგომარეობაში.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვის გადასაწყვეტად კვლევა წარმართა შემდეგი სქემით:

1. რძის ცხიმის მასური წილის განსაზღვრა საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 77:2010-ის მიხედვით.

პარკის გახსნისას მასში აღმოჩნდა უფერო, გამჭვირვალე, ერთჯერადი, ექვსი ცალი პაკეტი, რომლებშიც ინდივიდუალურად მოთავსებულია კარაქის თითო-თითო ბრიკეტი. ნიმუშები შეფუთვის გარეშეა, მათ არ აქვთ ეტიკეტები. პაკეტები დანომრილია



001292514

ექსპერტის დასკვნა № 001292514

ციფრებით: „1“; „2“; „3“; „4“; „5“ და „6“. შესაბამისად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნიმუშები დაინომრა როგორც ობიექტი N1; N2; N3; N4; N5 და N6. ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუშების
გამოკვლევის შედეგები

ნიმუშის დასახელება	რძის ცხიმის მასური წილი, %
ობიექტი N1	████
ობიექტი N2	████
ობიექტი N3	50
ობიექტი N4	████
ობიექტი N5	██
ობიექტი N6	████

მარინა იაკობაშვილი

მ. იაკობაშვილი

გამოყენებული მასალები

1. საქართველოს ეროვნული სტანდარტის (სსტ 77:2010) - რძის ცხიმის მასური წილის განსაზღვრის მეთოდი ცხიმოვან ფაზაში.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მაია გონაშვილი

მ. გონაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: პაატა თუმურაშვილი

პ. თუმურაშვილი